ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი #2

21 აპრილი 2022 წელი

ქ.ბაღდათი 12.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:
გურამი კიკნაველიძე
მაია კბილაშვილი
სიმონ ჭოლოკავა
დიომიდე კიკნაველიძე
ბიძინა ჯაბიძე
ნინო კვირიკაძე
იოსებ კვირიკაშვილი
ნინო ფურცელაძე

ა.ა.ი.პ - ების ხელმძღვანებლები და წარმომადგენლები: ვალერი კვინიხიძე, მამუკა ჭელიძე, სოსო კოტორეიშვილი, ბექა კუჭუხიძე, მანანა კაპეტივაძე
საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: მერაბ ზირაქაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი: მინდია კიკნაველიძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: უჩა გელხვიიძე

პროფესიული სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი: შორენა ჩუბინიძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელი: ქეთი კარკაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი თვითმმართველობის საკითხებში: გია თავაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის 2021 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

   მომხს. ვალერი კვინიხიძე

2. პროფესიული სწავლების ცენტრის შესახებ ინფორმაცია

   მომხს. შორენა ჩუბინიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის 2021 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ აღნიშნულ საკიტხზე მოხსენება გააკეთა ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი: ვალერი კვინიხიძემ
კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ თანამშრომლები უნდა იყოს ფუნქციურად განაწილებული თუ რა სამუშაოები შეასრულონ, იყოს ინიციატივები სამუშაოთა აქტივობები მოეწყოს ღონისძიებები ამ მიმართულებებს უნდა ხელშეწყობა

ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი: ვალერი კვინიხიძე: ვმუშაობთ თოჯინების თეატრის აღდგენაზე, დასი ჩამოყალიბდა ამ მიმართულებით და თვეში ერთხელ გაიმართება სპექტაკლები

კომისიის წევრი: მაია კბილაშვილი ბიბლიოთეკაში თუ გვაქვს ინტერნეტ ქსელი და კომპიუტერული ტექნიკით უძრუნველყოფა

ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის წარმომადგენელი: სოსო კოტორეიშვილი კი ბატონო არის ინტერნეტ ქსელი და კომპიუტერული ტექნიკა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ უფრო მეტი კომუნიკაცია და ჩართულობა კარგი იქნება თუ კიდევ რაიმე სიახლეებს გავეცნობით და გავაცნობთ ახალგაზრდებს საჭიროა ინფორმაციულობა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის 2021 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად

კომისიამ გადაწყვიტა:

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი საკითხი: შეაფასა კომისიამ დადებითად და საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 9 **წინააღმდეგი: 0**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: პროფესიული სწავლების ცენტრის შესახებ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა შორენა ჩუბინიძემ

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ თანამდროვე ტექნიკით თუ ხდება ძველი ტექნიკის შენაცვლება

პროფესიული სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი: შორენა ჩუბინიძემ განაცხადა, რომ ეტაპობრივად ხდება ძველი ტექნიკის ახალი ტექნიკით ჩანაცვლება

კომისიის წევრი: ნინო კვირიკაძემ განაცხადა, რომ საჭიროა მუნიციპალიტეტში იყოს კვალიფიცირებული აგრონომი და იქნებ მოხდეს მუშაობა ამ მიმართულებით

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი სოფლის მეურნეობის სფეროს ცალკეული დარგების მიმართულებით უნდა განვითარდეს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ პროფესიული სწავლების ცენტრის შესახებ ინფორმაცია მიიღო ცნობის სახით

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილი